## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება ქ. თბილისი

MES 3 21 0000320271

02/04/2021

**შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 562 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 563 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 88 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 103-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 204426834) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 500-ით.
2. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 2 აპრილს.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 2 აპრილის №320269 სხდომის ოქმის №01 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
აბაშიძე ივანე

დანართი№1

| # | პროგრამის დასახელება | სწავლების ენა | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით) | ECTS | პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული) | შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი[1] | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბიზნესის ადმინისტრირება | ქართული, | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (0413) | 240 | აკრედიტებული | N121; 30.05.2019 | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 2 | ტურიზმი | ქართული | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (1015) | 240 | აკრედიტებული | N757; 11.12.2012 | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 3 | ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისური) | ინგლისური | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (0413) | 240 | აკრედიტებული | N49; 12.01.2019 | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 4 | ბიზნესის ადმინისტრირება | ქართული | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (0413) | 120 | აკრედიტებული | N38; 03.07.2017 | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 5 | სამართალი | ქართული, | სამართლის ბაკალავრი (0421) | 240 | აკრედიტებული | N204 26.11.2019 | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 6 | სამართალი | ქართული | სამართლის მაგისტრი (0421) | 120 | აკრედიტებული | N44 07.02.2019 | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 7 | საჯარო მმართველობა | ქართული | საჯარო მმართველობის მაგისტრი (0413) | 120 | - | N 716128 07.08.2020 | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 8 | სამართალი | ქართული | სამართლის დოქტორი (0421) | 180 | - | - | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 9 | თეოლოგია | ქართული | ჰუმანიტარული მეცნიერებები | 240 | აკრედიტებული | N217; 3.12.2019 | საქართველო, თბილისი, კალისტრატე |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ს ბაკალავრი თეოლოგიაში (0221) | | | | ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 10 | საერთშორისო ურთიერთობები | ქართული | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი (0312) | 240 | აკრედიტებული | N471074; 15.06.2020 | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 11 | ფსიქოლოგია | ქართული | ფსიქოლოგიის ბაკალავრი (0313) | 240 | - | N446517; 05.06.2020 | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 12 | სოციოლოგია | ქართული | სოციოლოგიის ბაკალავრი (0314) | 240 | - | N423328; 29.05.2020 | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 13 | პოლიტიკის მეცნიერება | ქართული | პოლიტიკის მეცნიერებების ბაკალავრი (0312) | 240 | - | N471073; 15.06.2020 | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 14 | თეოლოგია | ქართული | ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი თეოლოგიაში (0221) | 120 | აკრედიტებული | N216; 26.11.2019 | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |
| 15 | თეოლოგია | ქართული | თეოლოგიის დოქტორი (0221) | 180 | - | - | საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3 |